წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | სამშაბათი, 8 მარტი 1916 წ. | № 53

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელ [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



ქ. ბაქოში

**ღვინით ვაჭრობა**

**„მელაანი“**

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)



**შეშის საწყობი**

**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

**საკუთარი ტყიდან**

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.



**საგალანტერიო მაღაზია**

**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)



საუკეთესო კახური

**ღვინის საწყობი**

**ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა**

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)



**ახალი კლუბი**

კვირას 13 მარტს 12 საათზე სიტყვაკაზმულ საზოგად. საბჭოს თაოსნობით გაიმართება **დილა**

**სანდრო შანშიაშვილი** წაიკითხავს თავის ახალ ნაწარმოებს

**„ბედრო ზმანია“**

დასურათებულს მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

სურათებს თვით ავტორი ეკრანზე (ბუნდოვან სურათებად) მსმენელთ უჩვენებს.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

წევრნი ქართულ სიტყვა კაზმულ საზოგადოებისა დილაზე შესასვლელ ფასს არ იხდიან. დილის გამგე—ქართ.-სიტყვა კაზმული საზოგადოების საბჭო.



**ხარფუხის საზოგადო კლუბი**

(მიხეილის პროსპექტი № 127)

**სამშაბათს, 8 მარტს, სიმებიანი ორკესტრი**

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

**ოთხშაბათს 9, მარტს, სინემატოგრაფი**



**სასტუმრო „ავრორა“**

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

**სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—)



პირველი წელი | პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

**პაზმული და სამხატვრო პრებული**

**„მერანი“**

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.



**ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო სამრეწველო კომიტეტის საწყობი**

მოთავსებული ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164 სახლებში (ინჟენერ ი. ს. პონდოევის საწყობში) თებერვლის 25-დან, თავდაცვის საჭიროებით გამოწვეულ სამუშაოსათვის აწვდის მსურველთ ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას განსაკუთრებულ ხელშეკრულობით დადებულ ფასებში. ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ კანტორას: Тифлисъ контора механическаго отдѣла, Елисаветинская ул. № 184.

(10—120—2)



**სამშაბათს, 8 მარტს, „ახალ კლუბში“**

(სასახლის ქ. ქართვ. თავ.-აზ. სახლი)

კავკასიის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება ნოვრუზ-ბაირამობის ტრადიციულ მილოცვების მაგიერ ჰმართავს

**საქველმოქმედო რაუტს**

**საზოგადოების სახსრის გასაძლიერებლად.**

ყოველგვარი დახმარება მადლობით მიიღება. რაუტი დაიწყება შუადღის 12 საათზე, დასრულდება საღამოს 6 საათზე.



დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.



**ექიმი მ. გ. ვეფხაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—2



ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.



**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა**



ექიმი-დოსტაქარი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.


## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ტრაპიზონისაკენ.**

ვ. მიხაილოვსკი სწერს: ოსმალები ველარ აბრკოლებენ რუსის ჯარის წინსვლას ტრაპიზონისაკენ. ეხლა რუსის ჯარი ტრაპიზონიდან 40 ვერსზე სდგას. ამბობენ ვითომ ტრაპიზონში ოსმალებს დიდძალი ჯარისთვის მოუყრიათ თავი და ვითომც გოლცფაშაც იქ მოსულიყოს.

**სპარსეთში.**

სპარსეთის სამხრეთ-დასავლეთით გენერალ ბარათაშვილის ჯარი დაუბრკოლებლად წინ იწევს. 28 თებერვალს აიღეს ქალაქი ქერენდე, ჰერმანშაჰიდან 84 ვერსის მანძილზე მდებარე, ხოლო მესოპოტამიის საზღვრებიდან 98 ვერსით დაშორებული. ქერმანშაჰიდან ბაღდადამდე 233 ვერსია. ქერენდიდან მთის გზა მიდის ხანევენის ველისაკენ მესოპოტამიაში, მერე კი შარა გზა არის ბაღდადისაკენ, საიდანაც სამხრეთ-დასავლეთისაკენ უხვევს მდ. ჯილის ველში. ეს მდინარე ტიგროსს ერთვის.

**ბონარ-ლოუს აზრი.**

„ნევ-იორკ ტაიმს“-ში მოთავსებულია საუბარი ინგლისის მინისტრ ბონარ-ლოუსთან, რომელსაც ამ გაზეთის თანამშრომლისათვის ინგლისისა და ომიანობის თაობაზე უთქვამს: დემოკრატიულ ქვეყნებს ომის დაწყებისას არავითარი უპირატესობა არ ჰქონდათ. ჩვენ სრულებით მოუმზადებელნი ვიყავით ხმელეთზე სამოქმედოდ. ჩვენი სანაპიროების დაცვა მხოლოდ ჩვენს სამხედრო გემებს ჰქონდა დაკისრებული. ომიანობისათვის საჭიროა არა მხოლოდ დიდძალი ჯარის დარაზმა, არამედ მოწესრიგება ეროვნული ცხოვრებისა სულ სხვა საფუძველზე ვიდრე მშვიდობიანობის დროს. რა თქმა უნდა, ამას დრო დასჭირდება, ჩვენ კი ეხლა გაცხარებულ ომიანობის ხანის განვიცდით. ჩვენ არავითარ ანგარიშს არ უწევთ და არავითარ საშუალებას არ ვერიდებით გამარჯვების მოსაპოვებლად.

ჩვენი შეძლება, ცხადია, ულეველი არ არის, მაგრამ ჩვენ უფრო გავიწვდენთ ჩვენს შეძლებას ვიდრე მოპირდაპირენი.

ზავის ჩამოგდების შემდეგ, ეჭვი არა მაქვს, მოკავშირე სახელმწიფოთა შორის დამყარდება ეკონომიური კავშირი, თუმცა ეს საქმე არც ასე ადვილია.

საქმე ის გახლავთ, რომ გერმანეთმა ომის ატეხამდევე ხელში ჩაიგდო რუსეთის ეკონომიური განვითარება. მერმისში კი ეს საქმე საფრანგეთ-ინგლისის ხელში უნდა გადავიდეს. გერმანეთი ბევრი ბაზრებიდან უნდა გავნდევნოთ და ისეთს გარემოებაში ჩავაყენოთ, რომ მეტოქეობა ველარ გაგვიწიოს. ინგლის-ამერიკის შორის შესაძლებელია დამოკიდებულობა შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ შეერთებული შტატები სამშვიდობო ლიგის დაარსებას სათავეში ჩაუდგებიან. ეს ლიგა რომ შეიარაღებულ ლიგად იქცეს მშვიდობიანობის დასამყარებლად, მაშინ შეერთებული შტატების გავლენა უფრო ძლიერი იქნებოდა ვიდრე დღეს. მაშინ მას შეეძლო საერთაშორისო დამოკიდებულებაში წესიერების დამცველობაც ეკისრა, რადგანაც ომიანობის დროს მხოლოდ ნეიტრალ სახელმწიფოებს შეუძლიანთ მშვიდობიანობის დროს დადებულ ხელშეკრულებათა გამოსარჩლება. დღევანდელი ომის დროს ასეთი შემაკავებელი რამ ძალა არ მოიპოვება და საეჭვოა რომ იგი მერმისში მაინც გვეღირსოს, თუ შეიარაღება არ შემცირდება. სხვაფრივ ვერასოდეს ვერ ავიცდენთ თავიდან ისეთ საშინელ ომიანობას როგორიც დღესაა.

## უკანასკნელი ფოსტა

რუსების მიერ აღებული მაახათუნი აზრუმის დასავლეთით მდებარეობს 90 ვერსზე, ხოლო სივასიდან აღმოსავლეთით 380 ვერსზე. აქედან გზა მიდის ტრაპიზონისა, სივასისა და დიარბექირისაკენ.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 5 მარტი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** ნიტკელიშკის რაიონში, დრისვიატის ტბის ჩრდილოეთით, გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს. გერმანელთა ძლიერი მზვერავი რაზმი გამოჩნდა დაბა ტვერეჩის სამხრეთით, მაგრამ რუსებმა უკუ აგდეს საარტილერიო ცეცხლით. ლიპსკის რაიონში, ვიგოვის რაიონში, გერმანელები შეეცადნენ იერიშით წამოსვლას, მაგრამ აქაც შეჩერებული იქმნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალთა დევნის დროს ერმინჯანის მიმართულებით რუსებმა ბრძოლით აიღეს სოფ. კოტური, ქალ. მამახათუნის სამხრეთ-დასავლეთით. ოსმალები შეეცადნენ კონტრიერიში მოეტანათ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ.

**პეტროგრადი,** 6 მარტი. ოფიციალი. **დასავლეთის ასპარეზი.** რიგის მხარეზე გერმანელები სასტიკი არტილერიის სროლით არ უსვენებდნენ რუსებს იქსკიულის სიმაგრეებთან და მის სამხრეთით. იაკობშტადტის რაიონში საარტილერიო სროლაა. ვიძის რაიონში რუსთა არტილერიამ გერმანელთა თხრილებს დაუშინა. სად. მიძიანთან, ტკერჩის სამხრეთით, გერმანელები შეეცადნენ იერიშით წამოსულიყვნენ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. გერმანელებმა საარტილერიო ცეცხლი გამოუშვეს დაბა სმორგონის რაიონში. ზემო სტრიპის რაიონში რუსთა მზვერავებმა წაართვეს თხრილები. იმავე რაიონში დ. იუზეფოვკასთან რუსებმა მოიგერეს მტრის იერიში.

**შავი ზღვა.** რუსთა ნაღმოსნებმა ბულგარეთის სანაპიროებზე დაჰღუპეს ბენზინით დატვირთული ხომალდები. მტრის ჰაროპლანებმა იერიში მიიტანეს მათზე, მაგრამ ვერას გახდნენ. ნაღმოსნებმა მტრის კამანდა წამოიყვანა.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალთა დევნის დროს მახატუნის რაიონში რუსებს დავლად ორი ზარბაზანი დარჩათ.

—

**პარიზი,** 4 მარტი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ვერდენთან ბრძოლა ძველი სიმკაცრით სწარმოებს. მაასის მარჯვენა ნაპირზე ხუთშაბათს რვა საათიდან მოყოლებული შუაღამემდე ვოს რაიონში გერმანელებმა რიგ-რიგად ხუთჯერ მოიტანეს იერიში. მიუხედავად სიმკაცრისა ყოველი იერიში მოგერებულ იქმნა ტყვიის მფრქვეველთა ცეცხლით. ეს განუწყვეტელი იერიშები ჰმოწმობს იმას, რომ გერმანელები დაეძებენ სუსტ ადგილს რათა გაარღვიონ ფრონტი და გარდამწყვეტი ბრძოლა მისცენ ფრანგებს.

**პარიზი,** 5 მარტი. შაბათს გერმანელებმა განაახლეს იერიშები ვოს რაიონში. ამ ახალი იერიშებით გერმანელები შეეცადნენ მწვერვალებზე აჭრილიყვნენ, რომლის ჩრდილო ნაწილიდან იწყება ოდრემონის ტყე, პუავრეს მაღლობების მახლობლად. იერიშები უმალ შეჩერებულ იქმნა. ჯგუფ-ჯგუფად წამოსულ რაზმებს დიდი ზარალი მიაყენა ჩვენმა ზარბაზნის სეტყვამ. იერიშებს ისეთი მკაცრი ხასიათი არა ჰქონია, როგორც წინა დღეები.

**პარიზი,** 6 მარტი. დღისით მოსული ცნობა. ვო-დალმუს ხაზზე გერმანელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. მთელი ღამის განმავლობაში ქვეითი ჯარი აღარ გამოსულა. ვერდენის ყველა სექტორში არ შეწყვეტილა საარტილერიო სროლა. დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარად ჩაიარა. ჩვენი მფრინავნი დაესხნენ მეცის სადგურს და ყუმბარები ჩამოჰყარეს. მტრის ჰაეროპლანები გამოეკიდნენ. მტრის სამი აპარატი ჩამოვარდა, ჩვენი მხრითაც სამი მტრის ბანაკში ჩამოეშვა, ხოლო ერთმა ჩვენს მხარემდე მოფრენა მოახერხა და აქ ჩამოვარდა.

**პეტროგრადი,** უმაღლესს სენატს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო საბჭოს წევრს, სასახლის გოფმეისტერ შტიურმერს უმოწყალესად ვუბრძანებთ იყოს შინაგან საქმეთა მინისტრათ. ამავე დროს იგივე იქნება მინასტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, სახელმწიფო საბჭოს წევრათ და გოფმეისტრად.

**ნიკოლოზი.**

მეფის ბანაკი, მარტის 3 1916 წ.

**კოპენჰაგენი.** ბუქარესტიდან იტყობინებიან: ჯარში გაიწვიეს 18 წლისები, 7 დღეში უნდა გამოცხადდნენ 1865 წლის აქეთ დაბადებული ექიმები, ბუკოვინისა და გალიციაში 18—50 წლამდე ყველანი ჯარში გაჰყავთ.

**ათინა.** მარმარილოს ზღვაში წყალქვეშა შეიპარა, სროლა აუტეხა სანაპიროებს და რკინის გზას პრინცის კუნძულებთან დიდი ზიანი მიაყენა.

## ბრძოლის ველზე

უკვე თვე შესრულდა რაც ვერდენთან ბრძოლა დაიწყო. გერმანელთა იერიში პირველად გრანდიოზულ დემონსტრაციათ მიიღეს სამხედრო მიმომხილველებმა, მაგრამ ერთი კვირის ოპერაციამ და ბრძოლის გამწვავებამ ყველას დაანახვა, რომ აქ უფრო სერიოზულ განზრახვასთან გვაქვს საქმე, ვიდრე დემონსტრაციასთან. სამი ძლიერი არმიის კონცენტრაცია, მარჯვენა ფრთით ეინემისა, შუბლით კრონპრინცისა და მარცხენა ფრით გენერალ შტრანცისა თავისთავად ჰგულისხმობდა, რომ ოპერაცია იგი სასტიკ ხასიათს მიიღებდა. ბევრნი ჰფიქრობენ ამ ოპერაციას ეპიზოდიური ხასიათი ექნება და თუნდაც ვერდენი დაეცეს, გენერალური ბრძოლა მაინც არ დაიწყებაო. რა თქმა უნდა წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ არითმეტიკული გამოანგარიშებითაც უნდა დავთანხმდეთ იმ აზრს, რომ ვერდენის დაცემა უსათუოდ გამოიწვევს გენერალურ ომს, თუნდაც ფრთხილმა გენერალისიმუსმა ჟოფრმა ერთხელ კიდევ სტრატეგიული მოსაზრებით უკან დაახევინოს არმიას. ჯერ კიდევ 1914 წ. აგვისტოში ფონკლუკის არმიის ხელის შესაწყობად კრონპრინცმა ამ თერმოპილს მიაპყრო თვალი. მას დავალებული ჰქონდა ვერდენ-ბელფორის ზღუდე გადაენგრია. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს იერიშები ფრანგთა თავგანწირულებით შეჩერებულ იქმნა, იგი ვერ მიშველა 25 აგვისტოს მარნასთან დამარცხებულ ფონ-კლუკის, რომელმაც განსაცდელს გენიოსურ ნიჭის წყალობით თავი დააღწია მდ. ენზე უკუგდებული ფეხს იკიდებს შამპანის მაღლობებზე, სადაც დღემდე პოზიციურ ბრძოლას ეწევიან.

8 თებერვალს დაწყებული კრონპრინცის მიერ იერიშები ვერდენზე განმეორებაა ძველი გეგმის იმ განსხვავებით, რომ ინიციატივა ბრძოლისა ახლა კრონპრინცს ეკუთვნის და თუ კი მოახერხა ვერდენის აღება, გზას გაუხსნის მთელი რეინის არმიას, ზურგით მოექცევა შამპანში მდგარ ფრანგთა ჯარებს, ეს კი სიგნალი იქნება, რომ რკინის რკალი მოსწიონ ფონკლუკ-ეინემმა და ან დაატყვევონ ფრანგთა ლაშქარი, ანდა ისევ უკან დაახევინონ მთელი ზეკაცური ენერგიით ნაგები ზღუდეები. თქმა არ უნდა, ასეთს შემთხვევაში აუცილებელი გახდება გენერალური ომი, რასაც ასე რიგად ესწრაფებიან გერმანელები, ხოლო თვისი მხრით გაუფრთხის ფრთხილი და ფრიად ძლიერი ნებისყოფის ადამიანი გენერალისიმუსი ჟოფრი.

ამ გეგმის განსახორციელებლად გერმანელებმა, როგორც ვსთქვით 8 თებერვალს დაიწყეს შემოტევა. კრონპრინცი შუბლით ეძგერა. ეინემის არმია ერთი სამად გადიდებულ იქმნა, მაგრამ ოპერაციის დასაწყისში თითქოს პასივურ მაყურებელის როლში გამოდიოდა და მოელოდა თავის რიგს. დიდი, დიდი რამ, რასაც იგი ამ დროს ახერხებდა გახლდათ ის, რომ მფარველობა გაეწია კრონპრინცის არმიის მარჯვენა ფრთისთვის, თუ ვინიცობაა ფრანგები რაიმე მანევრით მოინდომებდენ კრონპრინცისთვის ხელი შეეშალათ ოპერაციის განვითარებაში. რაც შეეხება გენერალ შტრანცის არმიას, იგი კრონპრინცთან შეთანხმებით მოქმედებდა, მას უნდა იერიშები მიეტანა ვერდენზე ფრანგთა მარცხენა ფრთის მოსაჭრელად დუომონ-ვოს ფრონტზე.

ოთხის დღის შესვენების შემდეგ კრონპრინცის არმიას ოთხიოდ დივიზიით აძლიერებენ და ახლა იერიშები მიაქვთ მეორე მხრით, მაასიდან. პირველ შეხვედრისთანავე ფრანგებმა დასცალეს თავიანთ პოზიციები, უკედ, იძულებული გახდნენ დაეცალათ, როგორც ეს განმარტა ჰავასის სააგენტომ, „სამ მხრით ცეცხლის ალს გავაშორეთ ჩვენი ჯარებიო“. რეზულტატი ამ დახევისა ის იყო, რომ გერმანელთ ხელთ ჩაუვარდათ კარი ვერდენის რკალის შემოსარტყმელად. ეს გახლდათ სოფელი ფორჟი და კორბოს აწ უკვე სახელოვანი ტყე, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. ეს არც ისე გასაკვირველი გახლდათ. კორბოს

## ვერდენის მიდამოები




ტყე ჰფარავდა ციხის სიმაგრეთა პირველს ხაზს, იგივე საიდუმლო კარს შეადგენდა ჩრდილოეთ ფორტებისას. ამიტომაც ფრანგებმა იმდენ ხანს იბრძოლეს, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო, ვიდრე გერმანელები დიდ ყალიბის ზარბაზნებს მოაგორებდნენ და ცოჯოხეთური ცეცხლით არ დაჰხვრეტდნენ მთელს არე-მარეს. ამ იერიშებს, უმთავრესად ხელმძღვანელობდა გენერალი ეინემი. რას სჩადიოდა ამ დროს შტრანცი? როგორც ვსთქვით, იგი ფრანგთა ჯარების მარჯვენა ფრთას სდარაჯობდა, რომ ერთმანეთისთვის შეემსუბუქებინათ იერიშების ტვირთი. თავისი მხრით გააფთრებული იერიში მიიტანა სოფელ ვოზე, აიღო კიდეც და შემდეგ ეკვეთა ვოს ფორტსა. მისივე ჯარები იერიშით ილაშქრებენ

ასეთია მოკლედ პირველი ორი აქტის შინაარსი იმ საშინელი გლეჯაფლეთის და სისხლის ღვრისა, რომელიც ვერდენის გარშემო აგერ ეს ერთი თვეა რაც სწარმოებს, ბოლო არ უჩანს.

ორი უკანასკნელი დღის ბილიუტენების მიხედვით საზოგადო ვითარება არ შეცვლილა. გერმანელებმა ერთის შეხედვით თითქოს შეაჩერეს იერიშები ბელანკურ-მორტომზე, მაგრამ ეს დროებითია. უეჭველია, როგორც კორბოს ტყის აღების წინ რამდენიმე დღის მომზადება იყო საჭირო, ეხლაც გერმანელები ემზადებიან უფრო გარდამწყვეტ იერიშისთვის. მანამდე კი შტრანცის არმია არ ასვენებს ფრანგებს და, როგორც ტელეგრამებიდან სჩანს, სახელოვან ფორტ ვოს სექტორის მაღლობებზე მოიწევენ, სადაც სამს თებერვალს და ხუთს გააფთრებით ამაოდ ეკვეთებოდნენ ბუნებრივ ზღუდეებს.

რუსეთის ფრონტზე ბრძოლა გაცხოველდა რიგა-დვინსკის ხაზზე. კვლავ გვესმის იქსკიულისა და ილლუქსტის ხმა. აი, ორი უმთავრესი წერტილი, სადაც რუსები მოელიან „გაზაფხულის ქარიშხალს“, როგორც არა ერთხელ მოუხსენებიათ ამ სახელით რუს სამხედრო მიმომხილველთ. ამჟამად „რუსკი ინვალიდი“ ამ ქარიშხალის ამოვარდნას უკავშირებს ვერდენის ოპერაციას. თუ იქ გაცუდდა საქმე, მაშინ აქეთკენ დაგვატყდებიან თავზეო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქარიშხალი ამ ოპერაციის დამოუკიდებლივაც ამოვარდება.

სულ სხვაა კავკასიის ასპარეზზე. აქ გამარჯვებული არმია კვლავ წინ იწევს. ამ ორს უკანასკნელ დღეში აიღო მეორე ხარისხოვანი ქალაქი მამახატუნი, რომელიც ერძინჯანთან გზატკეცილითაა შეერთებული, სულ 65 ვერსითაა დაშორებული. გუშინდელ ცნობების მიხედვით კიდევ ხუთი ვერსით წაუწევიათ რუსებს და პატარა სოფელი კოტური აუღიათ.

შემდეგი ოპერაცია კავკასიის ფრონტზე უნდა ვიფიქროთ რომ მძიმე ნაბიჯით უნდა განვითარდეს, ვინაიდან სწრაფი წინსვლით კავკასიის არმია საგრძნობლად შორდება მთავარს ბაზას. მიზანი, როგორც ვიცით, ახლა ტრაპიზონის აღებაა. მარტო დესანტი ვერას გახდება, თუ მას აზრუმით მოქმედი ჯარი არ მიეშველა. მთავარი ძალა კი, როგორც ვიცით, დაედევნა ოსმალთ და ერძანჯანისკენ ერეკება. მამახათუნიდან ერძანჯანამდე, როგორც ვსთქვით, 65 ვერსია. მხოლოდ აქედან შეიძლება მეორე გზატკეცილით წავიდნენ ტრაპიზონისკენ. მაგრამ თუ გავიანგარიშებთ გზას, მასთან გავიხსენებთ, რომ ომის საშინელმა ქარიშხალმა გააუდაბნოა მთელი ეს ისედაც მწირი მხარე, მაშინ დავინახავთ, რომ კავკასიის არმიას ზეკაცურ ძალის მოკრება მოუხდებათ, ვინაიდან მას იმდენად მტრის შიში აღარ ექნება, როგორც სურსათის ნაკლულევანება. უბრალო გამოანგარიშებიდანაც კარგად დავინახავთ, რომ მარტო ფურგონები, სრული დამშვიდებული ნაბიჯითაც რომ იარონ, არაფრის შიში არა ჰქონდეს, ვიდრე აზრუმიდან ერმილჯანს მიაღწევდენ და აქედან ტრაპიზონს მიაღწევდენ, თან მიიტანენ მხოლოდ და მხოლოდ გირვანქა პურს! დანარჩენი თვითონ ცხენებს და ზედ მყოფ ჯარის კაცთა კვებას დასჭირდებათ. მაშასადამე, კავკასიის არმიას დიდი სამხედრო ორგანიზაციის შეკვრა სჭირია, თუ არა სურს, რომ ასე ელვის სისწრაფით მოხვეჭილი გამარჯვება ხელიდან გამოეცალოს...

X.

### თბილისი, 8 მარტი.

**სრული სიმართლის მოლოდინში**

ქართველი მაჰმადიანების, კერძოდ აჭარლების სრული ლოიალობა და უდანაშაულობა ყველასათვის აშკარაა. საგანგებო გამოძიებამ ეს დაამტკიცა აუარებელი საბუთის საშუალებით. აჭარელთა შეუცვლელ ერთგულებაში ურყევად დარწმუნებულია ადგილობრივი მთავრობა. ამაშივე დარწმუნდა თვით მეფე, რომელმაც აჭარაში მომხდარ ამბებს მხოლოდ უბედური შემთხვევა უწოდა. არ გასჭრა ხერხმა, რომელსაც მიჰმართა თითო-ოროლა პირმა, რომ გამოესყიდა თავისი დაუდევრობა სახელმწიფო მოვალეობის აღსრულებაში და თანაც პირადი წარმატება მოეხვეჭნა. თუმცა ადვილი იყო საერთო აღრევისა და გაუკითხაობის დროს მთელი ხალხის გაუბედურებაზე პირადი კეთილდღეობის აგება, მაგრამ ამ შემთხვევაში კაცთა მოდგმის მტარვალებს დუშაში ვერ მოუვიდათ. დროზედ წამოიჭრა ფეხზე მთელი ქართველობა, როგორც ერთი კაცი. ქართულმა პრესამ შეუდარებელის ერთსულოვნობით თავი გამოიდო მაჰმადიან ძმების დასაცავად, რა ერთხელ დარწმუნდა, საკუთარი ანკეტის საშუალებით, მათს უდანაშაულობაში. საზოგადოება შეძრწუნდა იმის წარმოდგენით, რომ ეს ამდენი სრულიად უდანაშაულო ხალხი უნდა აღგვილიყო თავის მამა-პაპეულ სამკვიდრებელიდან და მისი სახლ-კარი და უძრავ-მოძრავი ქონება ხელში ჩაეგდო ვინმე საეჭვო პატრონს. მაჰმადიან ქართველების უბედურებამ აღძრა მთელი ქრისტიანი ქართველობა, და მტკიცე ერთობა ჩამოაგდო. ამ კონკრეტი საკითხის გარშემო მოხდა ფაქტიური ეროვნული გაერთიანება და გალაშქრება. და გაიგონეს ქართველობის ეს ხმა, გაიგონეს და ანგარიში გაუწიეს კიდეც. მაჰმადიან ქართველების ბედი წალმა შეტრიალდა, მთავრობამ მოხსნა უსაბუთო მძიმე ბრალდება და აღიარა მათი უდანაშაულობა. ეს კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. ბევრი მაჰმადიანი ქართველია პირველ ყალბ ბრალდების შთაბეჭდილების ქვეშ გაუკითხავად დასჯილი, ადმინისტრატიულის, თუ სასამართლოს წესით. უსამართლობა იქნება, მათი საქმე რომ არ გადაისინჯოს თანახმად იმ საბოლოო დასკვნისა და აზრისა, რომელიც აჭარელთა შესახებ განმტკიცდა მთავრობის წრეებში. არვინ უნდა იყოს მსხვერპლი წინასწარ ბოროტ განზრახვისა და გაუმართლებელი, ცთომილი ბრალდებისა.

არის მეორე მხარეც. დიდძალი ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთის „ჩეთნიკებმა“ ძალით თან გაიყოლიეს. ვინ კიდევ შეშინდა იმ საშინელი ბრალდების წინაშე, რომლის მიხედვით ქართველ მაჰმადიანებს გასამართლებას ემუქრებოდნენ, დასტოვეს ყველაფერი რაც ებადათ და გადაიხიზნეს სხვა ადგილებში, ისევ ისე რუსეთის საზღვრებში. დღეს უპატრონოდ არის დატოვებული საუკუნოების განმავლობაში ჰაპანწყვეტით გაშენებული ეზო, სახლ-კარი. უსამართლობა იქნებოდა სრულიად უდანაშაულო ხალხი უსახლკაროთ და შიმშილ-წყურვილით იხოცებოდეს, მაშინ როდესაც საკუთარი მოსახლეობა აქ უპატრონოდ პარტახდება და იღუპება! რადგანაც მთავრობა საქვეყნოდ აცხადებს მაჰმადიან ქართველობის უდანაშაულობას, საჭიროა მთავრობის ეს აზრი და რეზოლიუცია ეცნოს საცოდავ ხალხს, რომელიც აგერ 15 თვეა, სადღაც დაძრწის, მიუსაფარი. უდანაშაულოდ დასჯილი, ქალი, ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა, იხოცება ტყე ტყე და ღრე-ღრე წოწიალში. მთავრობამ უნდა აუწყოს, რომ ამ ხალხს არას ერჩის, რომ მასზედ შურს არ ჰძიობს, რომ, პირიქით, იგი მიჩნეულია უდანაშაულოდ და ერთგულ ქვეშევრდომად. თუ მთავრობამ მოისურვა ამ ამბავს მიაწვდის ყველა ქართველ მაჰმადიანს, ვინც კი შიმშილს და სიცივეს გადარჩენია. რუსის ჯარმა ოსმალეთის მოზდილი ნაწილი დაიჭირა. საცაა ტრაპეზონსაც მალე აიღებს. და ყველა ძალით წასხმული მაჰმადიანი ქართველობა რუსის ჯარისაგან დაჭერილ ფარგალშია მოქცეული. საკმარისია ერთი ბრძანება და ეს უდანაშაულოდ გატანჯული ხალხი თავის სახლ-კარს დაუბრუნდება. ჩვენ იმედი გვაქვს რომ სამართალი ნახევარ გზაზედ არ შეჩერდება. უდანაშაულოს სრულ შეწყნარებას და პატიებას მოვითხოვთ იმავე ლოღიკით, რა ლოღიკითაც დამნაშავის დასჯას მოვითხოვდით. ნუღარ იქნება ნახევარი სამართალი! ჩვენ იმედი გვაქვს რომ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, რომელიც ყურადღებით მოეპყრა ქართველ მაჰმადიანთა საკითხს და რომელმაც ამ დღეებში აჭარელთა დეპუტაცია, შესამჩნევის თავაზიანობით მიიღო სამართლიანობის ხმას ბოლომდის გაჰყვება და უდანაშაულოდ დასჯილ ქართველ მაჰმადიანებს აკმარებს უკვე გამოვლილ ხანგრძლივ ტანჯვაწვალებას. ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა სრულის სამართლის მოლოდინშია.

## დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**ვერდენთან მილიონმა გერმანელმა ჯარის კაცმა მოიყარა თავი; აქაა კრონპრინცის ათი დივიზიაც, შტრანცის რვა დივიზია. შამპანიდან ვერდენთან გადმოიყვანეს გენერალი ეინემის სათადარიგო ჯარები და ელზასიდან ფალკენჰაიმის სათადარიგო ჯარები.**

—

„რუსკი ინვალიდი“ სწერს: რუსები დღე-დღეზე მოელიან გერმანელების საერთო შემოტევას რიგა-დვინსკის ფრონტზე.

—

„რუსკ. ვედომოსტი“ იუწყება ყოფილი სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის თანაზიარნი იყვნენ ავსტრიელები: ალშილერი, ველერი გერმანელი ქალი, კორესპონდენტი აურიხი.

—

მთავრობამ დაამტკიცა რედაქტორთა სრულიად რუსეთის საზოგადოება.

გ. ვ.

პეტროგრადში დიდი მოძრაობაა მუშებისა. თავრიდის სასახლეში უხუცესთა თათბირი მოხდა ამ ამბების გამო. კრებამ შუაღამემდე გასტანა. პროგრესიული ფრაქცია მოითხოვს მოხდეს სათათბიროს ფარული სხდომა, რომელსაც დაესწრება პოლივანოვიც. თხოულობენ სიძვირესთან ბრძოლას, მუშათა ხელფასის მომატებას, უაზრო რეპრესიების გაუქმებას, მუშათა უფლებრივ და ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას.

## ახალი ამბავი

### სასახლეში.

◆ მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე—მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული და დიდი მთავარი რომანოზ პეტრეს ძე ბათომიდან თბილისში დაბრუნდნენ.

◆ დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის ძეს ტფილისის „კრუჟოკი“-ს დეპუტაცია წარუდგა. დეპუტაციაში შედიოდნენ მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე გენ.-ლეიტენანტი თ-დი ორლოვი, ი. ე. გამყრელიძე და ექიმი ორბელი. დეპუტაციამ მოახსენა საზოგადო კრების დადგენილება მათ იმპერატორობით უმაღლესობის „კრუჟოკის“ საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

◆ მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ კეთილ ინება და მეტად საგულისხმიერო საპასუხო დეპეშა გამოუგზავნა აჭარელთა პატივსაცემად გამართულ ზეიმის ტოლუმბაშს გენერალ გ. ნ. ყაზბეგს.

### მთავრობის დაწესებულებებში.

◆ თბილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულომ გორის მაზრა, ახლად დაჰყო საგლეხო სამოსამართლო ნაწილებად. მთელი მაზრა ექვს ნაწილად დაიყო. პირველ ნაწილში შედის ბორჯომისა და ბაკურიანის სოფლის საზოგადოებანი მეორეში: მეჯვრისხევისა, ტყვიავისა, ხელთუბნისა, ქვემო-ჭალისა და კასპისა, მესამე ნაწილში—ალისა, ... სა, მოხისისა, ოქონისა, ოსიაურისა, სურამისა და ხცისისა. მეოთხეში—ქვემო-ნიჩბისისა, კავთისხევისა, ახალქალაქისა, მეტეხისა, ახალსოფლისა, ქარელისა, დოესისა, რიუსისა, ზღუდერისა და ხიდისთავისა; მეხუთეში—ცხინვალისა, დიცისა, ჯავისა და როკისა, ხოლო მეექვსე ნაწილში—შინდისისა, არკნეთისა და ვანათისა.

### ერობა და ქალაქთა კავშირი.

◆ როგორც იტყობინებიან 7 მარტს პეტროგრადის მთავარ გამგეობას განუხილავს ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას მიმდინარე წლის პირველ სამი თვის ხარჯთ აღრიცხვა. კავკასიის მთავარ გამგეობის და მის ცხრა განყოფილების შესანახად. გადადებულია ერთდროულად 103225 მან. 42 კაპ. ხოლო ყოველ თვიურად 874 714 კ.

### კოოპ. და მომხ. საზოგადოებანი.

◆ ქალაქის მსახურთა მომხმარებელ საზოგადოების ინიციატორობით სდგება საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს თბილისის მახლობლად კოოპერატიულ ნიადაგზე მოაწყოს იაფი და სალი ბინები, გააშენოს ბაღებით გარშემოვლებულს ინგლისურ კოტტეჯების მსგავსად. წესდება უკვე წარუდგინა სათანადო მთავრობას დასამტკიცებლად.

◆ მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისმა შუამდგომლობა აღძრა თბილისის გუბერნატორის წინაშე თბილისში ახალ მომხმარებელ საზოგადოების „ახალ ხანის“ დაარსების შესახებ.

### სასულიერო უწყებაში.

◆ გუშინ საღამოს მატარებლით კაგეთიდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს ეგზარხოსი.

◆ როგორც დანამდვილებით იტყობინებიან გორის ეპისკოპოსი ანტონი ინიშნება კავკავის ეპისკოპოსად, ხოლო ერევნის ეპისკოპოსი ლეონტი—ორენბურგის ეპარქიისა.

◆ სასულიერო სემინარიის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა წითელ ჯვრის გამგეობის წინაშე, რათა გაანთავისუფლოს ბიბლიოთეკის ბინა, სადაც სემინარიის გამგეობას განზრახული აქვს მოაწყოს ფიზიკური კაბინეთი მოწაფეთათვის.

### ქართულ დაწესებულებებში.

◆ ნ. ბ. ყიფიანმა კულტურულ საზოგადოებას – საზოგადო მოღვაწეთა მომავალ აგარაკის გასამართად სოფ. ქვიშხეთში შესწირა ნაჭერი მიწა ზომით 300 კვ. საჟენი.

◆ აგარაკის ამშენებელ კომისიის თავმჯდომარე ა. ს. ლორთქიფანიძე სთხოვს პროვინციელ და თბილისელ აგენტებს წარმოადგინონ დავთრებით ხელის მოწერილ ფულის ანგარიში, ვინაიდან 1 მაისიდან კომისია უკვე აპირებს შეუდგეს აგარაკის აგების საქმეს.

◆ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ნებართვა მიიღო სოფ. ლაგოდეხში, სიღნაღის მაზრა, სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ ადგილობრივ მასწავლებელ ქალის ნ. დონჯაშვილის პასუხისმგებლობით.

### ბანკებში.

◆ სახელმწიფო შემნახველმა კასსამ გუშინ ახალი მეოთხე განყოფილება გახსნა ქ. თბილისში. განყოფილება მოთავსებულია დიდუბეში გლდანის ქუჩის შესახვევში, თაიროვის სახლში.

◆ აზოვ-დონის და სავაჭრო ბანკებმა დაიწყეს წინასწარი ხელის მოწერა ახალ $5^1/_2$ % სამხედრო მოკლე ვადიან სესხზე 1916 წლისა.

◆ მეორე ურთიერთ დამხმარე საკრედიტო საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 13 მარტს თბილისის „საკრებულოს“ შენობაში.

### მაჰმადიანთა შორის.

◆ დღეს მაჰმადიანთა ახალი წელი „ნოვრუზ ბაირამი“ იწყება. გენერალური კონსული მირ-ჰასან-ხან სადეღლმოლკ მიმლოცველთ მიიღებს თავის ბინაზე საკონსულოში დილის 10—3 საათამდე.

### სომეხთა შორის.

◆ შესდგა კრება სომხურ საზოგადოებათა წარმომადგენლებისა გამოქცეულთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ. დადგენილ იქმნა ხელი შეუწყონ დაბრუნებას, მხოლოდ შრომის შემძლე მამაკაცი და ისიც ისეთ ადგილებში რომელიც უშიშარია დასაბრუნებლად როგორც მაგალითად ალაშკერის, ვანის და მელაზგერის მხარე. ამავე კრებაზე დადგენილ იქმნა დაარსდეს გამოქცეულთა მზრუნველ ყველა კომიტეტების ბიურო, რომელსაც უფლება ექმნება პირდაპირ მიმართოს საჭირო დახმარებით მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათ.

◆ **გ. გ. ადელხანოვი** ციხიდან სახლში გადმოიყვანეს და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

◆ **მსხვილ ვაჭრის გურგენოვის** თავდამსხმელთაგანი პოლიციამ ერთი უკვე შეიპყრო.

◆ **შემოიტანეს** თბილისში 5—6 მარტს: ფქვილი 87 ვაგ., ქერი 2 ვაგ., ღვინო ვაგ., შაქარი 5 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., მარილი 1 ვაგ., ლობიო $1^1/_2$ ვაგ., ხილი 1 ვაგ., შეშა 22 ვაგ., ნავთი 4 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 13 ვაგ., ფიცრები 2 ვაგ.

◆ **სახალხო კითხვები.** წერა-კითხვის საზოგადოების სახალხო კითხვების მომწყობი სექცია ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, გამართავს სახალხო საღამოებს. იგივე სექცია ამ მოკლე ხანში ბავშთა და მოზდილთათვის თბილისის განპირა სოფლებშიაც გამართავს კითხვებს.

◆ **მსახიობი ელ. (ლიზა) ჩერქეზიშვილისა** კვირას, 6 მარტს, საღამოს ქართველ ქალთა საზოგადოებამ მიიწვია „ძმურ ნუგეშში" და დღესასწაული გაუმართა ნიშნად პატივისცემისა მისი სცენაზე მოღვაწეობის გამო. ქ-ნმა განდეგილმა გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა ქ-ნ ჩერქეზიშვილისას და საზოგადოების სახელით მიართვა ოქროს ჯვარი ძეწკვით.

◆ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 7 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 110, ხუნაგიანი 33, ყვავილიანი, სახადიან 71, (ამათ შორის 42 სამხედრო პირია), საოფლიანი 16 და მუცელათი 1 კაცი.

◆ **სახალხო ბიბლიოთეკა.** 6 მარტს, საღამოს, წერა-კითხვის საზოგადოებაში ქართველ ექიმებს მეორე კრება ჰქონდათ. 20-დე კაცი დაესწრო. კრებამ კომისია აირჩია, რომელშიაც შედიან: გ. მუხაძე, ი. თიკანაძე, ნ. ჯავახიშვილი, ა. ბალარჯიშვილი და ვ. მუსხელიშვილი. ამ კომისიას დაევალა განიხილოს საზოგადოებში წარმოდგენილი თემები, შეადგინოს მათი ნუსხა და თავისი აზრი გამოსთქვას შესახებ იმისა, თუ რომელ წარმოდგენილ თემაზე დაიწეროს ხალხში გასავრცელებელი წიგნაკები. შემდეგი კრება დანიშნულია 16 მარტისთვის.

◆ **კარლო ჩხეიძე** უკვე განკურნებულა ავადმყოფობისაგან ლოგინიდან ამდგარა, მაგრამ ექიმები მუშაობის ნებას არ აძლევენ ჯერ.

◆ **ხმოსანთა არჩევნების გარშემო.** კვირას, 6 მარტს, „კრუჟოკის" დარბაზში შესდგა კერძო თათბირი 1 და მე-2 საპოლიციო უბნების ამომრჩეველთა. კრებას დაესწრნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელნი და თათბირი ჰქონდათ ხმოსანთა არჩევნების შესახებ. ორმა დამსწრემ კრებას განუმარტა მიზანი კრებისა და მოკლე პროგრამა რჩევნების შესახებ. კრებამ დაადგინა იხმაროს ღონისძიება, ქალაქის ფაქტიურად განახლდეს და ხმოსნებად ისეთი პირები იქმნან არჩეული, რომელნიც შესძლებენ ქალაქის საქმეების გაძღოლას. არჩეულ იქმნა 20 კაცისაგან ბიურო, რომელშიაც შედიან ყველა ეროვნების წარმომადგენელნი. ბიუროს დავალებული აქვს სახმოსნო კანდიდატების სია შეადგინოს და რკებას წარმოუდგინოს განსახილველად.

◆ **ჭონქაძის დილამ** კვირას, 6 მარტს, აუარებელი ხალხი მიიზიდა სახალხო სახლში. პირველად დაუკრეს შოპენის მარში. ფარდა აიხადა თუ არა, სცენაზე გამოჩნდა ჭონქაძის სურათი ყვავილებით მორთული, რასაც ტაშის ცემით შეხვდა საზოგადოება. პეტრე გელეიშვილმა წაიკითხა ლექცია შემდეგი სათაურით: „სურამის ციხე და დანიელ ჭონქაძე". შემდეგ ლექსები წარმოსთქვეს ბაბილინამ, დარია ახვლედიანმა, გ. ქუჩიშვილმა, შინატეხელმა და სხ.

◆ **პანაშვიდი საზოგადო მოღვაწეთა მოსახსენებლად.** 6 მარტს, დღის 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი გაზეთ „დროების" გარდაცვალებული რედაქტორების (გ. წერეთელი, ს. მესხი და ივ. მაჩაბელი), გამომცემლების და თანამშრომლების მოსახსენებლად.. პანაშვიდი შეასრულა გორის ეპისკოპოსმა ყოვლადსამღვდელო ანტონმა დეკანოზების კ. ცინცაძის და ან. თოთიბაძისა და ასათიანის თანამსახურებით. გალობდა ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი შაქრო ჩხიკვაძის ლოტბარობით. პანაშვიდის გათავების შემდეგ ეპისკოპოსმა ანტონმა მოკლე გრძნობიერ სიტყვაში მშვენივრად დაახასიათა განსვენებული საზოგადო მოღვაწენი და მათი შრომის მნიშვნელობა სამშობლო ქვეყნის წარმატებისათვის. აუარებელი ხალხით გაჭედილი იყო ეკლესია და ეკლესიის გალავანი. პანაშვიდს, სხვათა შორის დაესწრო რეჯებ ბეგი ნიჟარაძე.

◆ **ახალი კლუბის** წევრთა საზოგადო კრებამ კვირას, 6 მარტს, მამასახლისთა კანდიდატებად აირჩია დ. დავითაშვილი (40 თეთრი და 23 შავი კენჭი), ა. ი. ანდრონიკაშვილი (40 თეთრი და 23 შავი) და ი. გ. მაღალაშვილი (39 თეთრი და 23 შავი). რადგან ამ თავით 2 კანდიდატია საჭირო, ამიტომ ხმის უმეტესობის მიხედვით პირველ კანდიდატებად ჩაითვლებიან ბ-ნნი დავითაშვილი და ანდრონიკაშვილი.

◆ **წარმომადგენლების არჩევა.** სახალხო სახლთან არსებულმა ქართულ წარმოდგენების მმართველმა წრემ აირჩია თავის წარმომადგენლებად ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირში ნიკო ელიავა, გ. ცინცაძე და ალ. ლომთათიძე.

**ბათუმი**

წ. კ. გ. ს. განყოფილება ადგილობრივი ქართული სკოლის სასარგებლოთ კომერციული კლუბის დარბაზში 5, 6, 7, 8 და 9 ამ თვეს მართავს „ფინჯან ჩაის". ასეთივე „ფინჯან ჩაი" მოაწყვეს აქ ამას წინათ პოლონელებმა, ებრაელებმა და სომხებმა თავიანთ სკოლების სასარგებლოთ და ყველას კარგი შემოსავალი ქონდა. სომხებს მაგალითად, ხუთი ათას მანეთზე მეტი შემოუვიდათ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქაური ქართველი საზოგადოებაც არ დაიშურებს წვლილს გამოღებას თავისი სკოლის სასარგებლოთ. თავის მხრით განყოფილების გამგეობა და მანდილოსანთა კომიტეტი, რომელიც არჩეულ იქნა მანდილოსანთა კრებაზე ამ საქმის ხელის შემწყობათ, შრომას არ ზოგავენ, რომ საღამოები კარგად მოაწყონ. ჩვეულებრივი ქართული საღამოები, რაც ყოველ წელს იმართებოდა აქ ქართული სკოლის სასარგებლოთ, შარშან და წელს ომიანობის გამო არ გამართულა. გამგეობა „ფინჯან ჩაიდან" გვარიან შემოსავალს მოელის. ვნახოთ რამდენათ გაამართლებს ამ იმედს აქაური ქართული საზოგადოება. რაკი ეს საღამოები კლუბში იმართება, ზოგიერთებმა შეიძლება იფიქროს, რომ აუცილებელი იქნება იქ დასასწრებათ ფრაკები და ამგვარებში გამოწყობა. არავითარი ფრაკები არაა საჭირო. ყველას შეუძლია მობრძანდეს ჩვეულებრივ ტანსაცმელში. შესასვლელი ფასი 50 კაპ.

**ქუთაისი.**

იმერეთის სხვა და სხვა სოფლებში თესვას ხელი მიჰყვეს. ჯარში გაუწვეველი გლეხები ჩქარობენ ადგილები დაუთესავი არ დარჩეთ ომში გაწვევამდის.

— ქუთაისის საპოლიციო უბნების სამართველოებში ახალი ტიპის ვარჯიშობა შემოიღეს. როდესაც კაცის დატუსაღება დასჭირდებათ „გარადავოების" ნაცვლად სხვა ფორმაში გამოწყობილ კაცს გაგზავნიან და ასე საქმეს იადვილებენ. ასეთი სისტემა დღემდის მხოლოდ საიდუმლო პოლიციაში არსებობდა.

— ქუთ. დეპუტატთა საკრებულოს და ქალაქის გამგეობის მოსამსახურეები ჯამაგირებს კიდევ დროზე ვერ ღებულობენ. დიდ კრიზისს განიცდის აგრეთვე ქალაქის საავადმყოფო.

**ზუგდიდი.**

ზუგდიდის ქ. შ. წ-კ. ს. განყ. გამგეობამ გამოუწერა ჟურნალი „განათლება" შემდეგ სასწავლებლებს სამურზაყანოში: 1) საბერიოს ქრისტ. ალმად. საზოგ. სასწავლებელს; 2) საბერიოს სამრევლო სკოლას; 3) ღუმურიშის ორკლასიან სასწავლებელს და 4) პირველ ბარღეფის სამრევლო სკოლას.

— ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა შორის დაიბადა აზრი დაარსონ დ. ზუგდიდში ქუთაისში ახლად გახსნილ მასწავლებელთა კავშირის ფილიალური განყოფილება. ამ საგნის გასარჩევად მოწვეულია კრება 2 მარტისთვის.

## საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში

6 მარტს, საღამოს, ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე მღვ. პ. კარბელაშვილმა მოხსენება წაიკითხა თეიმურაზ ბატონიშვილის შესახებ, რომელიც შვილი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეცამეტისა, ახალგაზდობაში გადასახლებულ იქმნა რუსეთში და საფუძვლიანი განათლება მიიღო პეტროგრადში. ლექტორმა მრავალი ახალი ცნობანი მოიყვანა ამ ისტორიულ პირის შეხახებ. ლექციამ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. შემდეგ ამისა ბ-ნმა გ. მამრაძემ წაიკითხა მოხსენება ქართულ პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის საჭიროების შესახებ და სურვილი გამოსთქვა, რომ ეს ბიბლიოგრაფია გამოცემულ იქმნას. კრებამ პირვანდელი თავისი დადგენილება მიიღო: 1) შეეკითხოს პროფესორ ჯავახიშვილს, თუ რა აქვს გაკეთებული ამ საგნის შესახებ პეტროგრადის უნივერსიტეტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს და შემდეგში რა გზას დაადგება ეს წრე; 2) მიმართოს ქართულ პერიოდულ გამოცემათა რედაქციებს, იკისრებენ თუ არა თავიანთ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის შედგენას და 3) საერთოდ ამ საგნის შესახებ საკითხი აღიძრას ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირში და თუ რაიმე ხარჯის გაწევა საჭირო დარჩება ამ საქმისათვის, ეს ხარჯი კავშირმა იკისროს.

## ქართ. საქ. საზოგ. წევრთა საგანგებო კრება

6 მარტი.

კრება დაიწყო დღის 12 საათზე **მ. ვ. მაჩაბლის** თავმჯდომარეობით.

**უძრავ ქონების შეძენა.**

კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ საზოგადოებისათვის საჭიროა მამულების შეძენა და წესდება ამის ნებასაც აძლევს საზოგადოებასო. ერთი მამული უნდა შევიძინოთ თბილისში, გამგეობას უკვე აურჩევია ვერაზე სახლი, რომელიც 125,000 მანეთამდე ფასობს და სახლის პატრონს კიდევაც მორიგებია. ამ ფულიდან საზოგადოება ამ თავითვე გადაიხდის 50,000 მან. ხოლო დანარჩენი 75,000 მ. უნდა გაისტუმროს ნაწილ-ნაწილ 15 წლის განმავლობაში. ამ მამულში საზოგადოება ფულს გაიღებს თავის საერთო თანხიდან. მეორე მამულის შეძენა გადაუწყვეტია გამგეობას ბათომის ოლქში შავი ზღვის პირად. ეს მამული წარმოადგენს რამდენიმე ათეულ დესეტინა საუკეთესო მიწას, რომელზედაც უნდა გაშენებულ იქმნას ძვირფასი მცენარეულობა: ფორთოხალი, ლიმონი, ზეთის ხილი, ჩაი, ბამბუკი და სხვ. ვინაიდან ომის გათავების შემდეგ სამაჰმადიანო საქართველოში საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლებს მოესპობა ტატიანას კომიტეტის სუბსიდია, გამგეობა ფიქრობს, რომ სკოლების შენახვას ამ ბაღის შემოსავალი უნდა დაეხმაროსო. აღნიშნული ადგილი შეძენილ იქნება იმ თანხის ერთი ნაწილით, რომელსაც საზოგადოება ყოველ თვე ღებულობს ტატიანას სახელობის კომიტეტისაგან და ამ უკანასკნელისაგან უკვე მიუღია ამისი ნებართვა გამგეობას. კრებამ რამდენიმე ხნის კამათის შემდეგ მოიწონა მოხსენება და ნებართვაც მისცა გამგეობას შეიძინოს საზოგადოების სახელობაზე აღნიშნული მამულები.

**ხარჯთაღრიცხვა.**

გამგეობამ მოახსენა კრებას, რომ საქმის მდგომარეობა ხშირად თხოულობს ხოლმე, რომ გამგეობა უკვე დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგალს გადასცდესო. მაგალითად: 1) გამგეობამ იჯარით აიღო ბათომის ოლქში აჭარლების მიერ მიტოვებული მამულები, 2) იჯარით აიღო გზატკეცილის გაყვანა ბათომიდან ახალციხემდე და 3) ეხლა კიდევ რამდენიმე სოფელში უნდა აიღოს იჯარით აჭარლების გაპარტახებული მამულები, რაიცა 8,000 მანეთს თხოულობსო. ასეთი შემთხვევები, ცხადია, ხშირად იქნება შემდეგშიაც, საქმე არ ითმენს, რომ თითოეულ შემთხვევაში საგანგებო კრება მოიწვიოს გამგეობამ თანაბარი ნებართვის მისაღებად, ამიტომ კრებამ ეხლავე გადაწყვეტილი რეზოლიუცია უნდა გამოიტანოს, თუ რა გზას დაადგეს გამგეობაო. კრებამ გამგეობის მოქმედება, დროის მიხედვით, სამართლიანად იცნა, მაგრამ გადაწყვეტილი დადგენილების გამოტანა მაისისათვის გადასდო, როცა საზოგადოების წლიური კრება უნდა მოხდეს, რომელსაც გამგეობა წარუდგენს განსახილველად თავისს მოხსენებას ამ საგნის შესახებ, ხოლო მანამდის კი ძველი წესი დარჩება და გამგეობა იხელმძღვანელებს ძირითადი ხარჯთაღრიცხვით.

**სასურსათო საქმე.**

გამგეობამ ვრცელი მოხსენება წაიკითხა საკვებ მასალის შესახებ. საზოგადოებას გადაწყვეტილი ჰქონდა სკვები მიეწოდებინა დამშეულ საზოგადოებისათვის. ამ მოსაზრებით იმან კონტრაგენტები აიყვანა, რომელთაც აღუთქვა ვაგონების მოპოება და აგრეთვე წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა კავშირებსაც შეჰპირდა, ვაგონებს გიშოვიო. მთავრობა იმ თავითვე დაჰპირდა გამგეობას, რომ თვეში 200 ვაგონს მოგცემ სურსათის გადმოსაზიდადო. განსაკუთრებული სასურსათო კომისიაც-კი შეადგინა გამგეობამ და დაავალა მას სურსათ-სანოვაგის შეძენისა და მოტანის საქმე ეწარმოებინა. მაგრამ ეს საქმე არ მოეწყო და ამისი მიზეზი ის არის, რომ ვაგონები ვერ იშოვა გამგეობამ მართალია მთავრობა ვაგონებზე „ნარიადებს" (ვაგონების მიღების შესახებ ქაღალდს) იძლეოდა, მაგრამ ვაგონებს, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, არ აძლევდნენ საზოგადოებას. ასზე მეტი ვაგონის „ნარიადი" ფუჭე გამოდგა—ვაგონები ვერ მიიღო საზოგადოებამ. ეხლაც გზაში ყოფილა 125 ვაგონი, საკვებით დატვირთული, რომელთა მიღებას საზოგადოება ვერ ელირსა.

მოხსენებამ ცხარე და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. გ. დ. ჟურულმა განმარტა, რომ ასეთ გაჭივრებულ მდგომარეობაში ვაგონების მხრივ არა მარტო ქართული საქველმოქმედო საზოგადოება იმყოფებაო. ორატორმა ამისი ბევრი მაგალითები მოიყვანა და სხვათა შორის ქალაქის თვითმართველობაც დაასახელა. საქმის ცოტაოდნად მოსაგვარებლად ორატორმა ურჩია კრებას დაავალოს გამგეობას იშუამდგომლოს, რომ იმ თათბირში, რომელიც ყოველ კვირაში ხდება ხოლმე საკვებ-სანოვაგის შესახებ მეფის ნიცვლის თანაშემწის თავ. არლოვის თავმჯდომარეობით, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელიც ღებულობდეს მონაწილეობასო. გარდა ამისა ბ-ნმა ჟურულმა აღნიშნა, რომ ბევრს სოფლელს უნდა თავისი ურმით და ხარ-კამბეჩით მოიტანოს საკვები კავკავიდან, მაგრამ საქონლის ჭირი გაჩენილა და საბეითალო უწყება შინაურ საქონლის გატარების ნებას არავის აძლევს კავკავის გზაზეო. ამის გამო ორატორმა ურჩია კრებას შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, [illegible] ჭირის წინააღმდეგ სხვ [illegible] იქმნას მიღებული ურმების გატარების ნება მისცენ სოფლელებს. ბ-ნ ჟურულის ორივე წინადადება შეწყნარებულ იქმნა. ამასთანავე სასურსათო კომისია გააუქმა კრებამ და საკვების შესახებ ზრუნვა გამგეობას დაავალა.

**მადლობის გამოცხადება**

კრებას მოხსენდა ნაყოფიერი მოღვაწეობა ქალთა კომისიისა, რომელმაც მცირე ხნის განმავლობიში აუარებელი სამოსელი დაამზადა ომიანობისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთათვის. კრებამ დაადგინა მხურვალე მადლობა გამოეცხადოს კომისიის წევრებს, ხოლო ბ-ნნი ა. მ. წერეთლისა და ნ. ნ. გაბაშვილისა საზოგადოების საპატიო წევრებად იქმნან არჩეული.

## ქართველ ქალთა საზოგადოების წევრთა წლიური კრება

6 მარტი.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ქ-ნმა ეკატ. გაბაშვილისამ დღის 1 საათ. 50 წუთ. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ვაჟაფშაველასა და ნიკო ლომაურის ხსოვნას. შემდეგ კრების თავმჯომარედ არჩეულ იქმნა ქ-ნი ნინო ნაკაშიძე.

კრების საგანს შეადგენდა საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის საქმეთა განხილვა.

განხილულ და დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების შემოსავალი 1914 ენკენისთვიდან 1915 წლის ენკენისთვემდე. წინა წლის ნაშთიანად მთელი შემოსავალი საანგარიშო წლისა უდრის 8,892 მან. 84 კაპ. ამ საერთო ჯამში შედის:. შემონაწირი ეკ, ი. სარაჯიშვილისა 30 მან., ძმ. ზუბალაშვილებისა 200 მან., ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა 600 მან., ქალაქის თვითმართველობისა 300 მან., სხვა და სხვა პირთაგან 97 მან., იაკ. გოგებაშვილის ნანდერძევი 60 მან., საწევრო გადასახადი 177 მან., სწავლის ფული 2,340 მან. 70 კაპ., სწავლა დამთავრებულ მოწაფეთაგან ატესტატებისა 100 მან., სკოლაში ნამუშევარ ხელსაქმისა 47 მან. 71 კაპ., სამკერვალოს შემოსავალი 1,303 მან. 7 კაპ., გამოფენილ ნივთების გაყიდვით 292 მან. 83 კაპ., წარმოდგენის შემოსავალი 265 მან. 16 კაპ. და სხვ.

შემოსულ ფულიდან დახარჯულა საანგარიშო წლის განმავლობაში 5,912 მ. 18 კაპ. და გადარჩენილა შემდეგი წლისათვის 2,880 მანეთამდე.

განხილულ და დამტკიცებულ იქმნა აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა 1915 წლის ენკენისთვიდან 1916 წლის ენკენისთვემდე. შემოსავალი ნავარაუდევია 6,420 მან., გასავალი კი 7,410 მანეთი. ამ რიგად 1,000 მანეთამდე დეფიციტია მოსალოდნელი, საზოგადოებამ რაიმე ახალი წყარო თუ არ გამონახა.

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს

## მასალები სწავლა-განათლების საკითხის შესახებ საქართველოში

ინტელიგენციის ძალა ხომ მის ცნობიერების ძალაში იხახება... და რამდენადაც დავაკვირდი საგანს, ქართველ ინტელიგენციის მე-XIX საუკუნის ისტორია არ არის თავის უფლების მცნობ ერის ინტელიგენცის ისტორია.

**არჩილ ჯორჯაძე.**

III

**მე-XIX საუკუნის დასასრულს თბილისის სათავად-აზნაურო ქართულ კერძო სასწავლებლის გარშემო ატეხილ პოლემიკის უმთავრესი ხასიათი.**

ახლა ჩვენ უნდა შევუდგეთ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ არსებულ ლიტერატურისა და პოლემიკის განხილვას. წარსულ წერილის ბოლოში უკვე აღნიშნული გვქონდა აგრეთვე ისიც, რომ დღეს ჩვენ შევეხებით მხოლოდ მე-19-ე საუკუნის ლიტერატურას, ე. ი. იმ ხანის პოლემიკას, როდესაც თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელს ჯერ კიდევ სრული გიმნაზიის სახე არ ჰქონდა მიღებული და ამის გამო, დამთავრებული არ იყო. აგრეთვე კამათი იმის შესახებ, თუ რაგვარ ხასიათისა და ტიპის სასწავლებელს მოითხოვენ ქართველ ერისა და საზოგადოების საჭიროებანი.

ამ საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურის სრული და სისტემატიური განხილვა დღეს დღეობით ჩვენ შეუძლებლადაც მიგვაჩნია, ეგრეთ წოდებულ, ქართულ მწერლობის აღნუსხვის უქონლობისა გამო.

მართლაც და—ძნელია და შეუძლებელიც ამის აღუნუსხველად იმისი ცოდნა,თუ სად და როდის ყოფილა დაბეჭდილი წერილები. და მით უფრო რთულდება ამ მასალების გადაშინჯვა, ვინაიდან სათავად-აზნაურო სასწავლებლის შესახებ აუარებელი წერილები იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზედ.

მაგრამ ყველა ამ დაბრკოლების მიუხედავად, მაინც შესაძლებელია აღინიშნოს იმ დროინდელ პოლემიკის არსებითი მხარე და უმთავრესი ძარღვი, რადგანაც სადაო საკითხი მეტად მარტივად და მკაფიოდ იყო წამოყენებული.

ჩვენ ჩქარა დავრწმუნდებით ამაში. ახლა-კი საჭიროა აღინიშნოს ის პირდაპირი მიზეზები, რომელთაც წარმოშობეს წარსულ საუკუნის მესამოცდაათიანებში ქართულ კერძო სასწავლებელთა დაარსების საჭიროება.

საქართველოს დაბა-ქალაქებსა და სოფლად გაბნეულ თავად-აზნაურთა შვილები ველარ შედიან მოუმზადებლათ სახელმწიფო სასწავლებლებში. ეკონომიურად დაქვეითებულს ჩვენს ხელმოკლე თავად-აზნაურობას წელი აღარ მოსდევს შვილების შესაფერისად მომზადებისათვის და, ახალ დროებით გამოწვეულ, საჭირო სწავლა-განათლების მიცემისათვის.

ქართველ მოქალაქეთა ნაწილიც სუსტდება პროცენტიულად და ქონების მხრივაც სხვა მოსულ ერების ზრდასთან შედარებით და, ყველა ამ მიზეზებისა გამო, ქართველ მოსწავლეთა რაოდენობაც შესამჩნევად მცირდება სახელმწიფო და ყველა კერძო სასწავლებლებში.

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი გარემოება: რუსიფიკაციის პოლიტიკა უმწვერვალესობამდე აღწევს ამ დროს და სასწავლებლიდან იდევნება ქართული ენა.

აი, მაგალითად, რასა ვკითხულობთ 1893 წ. „კვალის" მე 16 №-ში, სადაც „კვალის" თანამშრომელი ეკამათება ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს. ნიკოლაძეს თავის წერილებში ის აზრი გამოეთქვა, რომ თავად-აზნაურობას შეეძლო გადაედო ფული იმისთვის, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება ქართველებისათვის გაუმჯობესებულიყოო.—„კვალი" კი ეკამათება და უპასუხებს: „რომ ამ საგანს აღარ დავუბრუნდეთ მასუკან და ერთხელვე მოვჭრათ სიტყვა, მოვაგონებთ ბ-ნ ნიკოლაძეს ამ საგანზე გადაწყვეტილებას ქუთაისის ბანკის კრებისას, რომელმაც ფულიც გადასდო, მაგრამ სურვილიდამ კი არა გამოვიდა-რა".

ამ მიზეზებმა წარმოშობეს ქართულ კერძო სასწავლებელთა საჭიროება.

„ორი მთავარი აზრი ჰქონდათ სათავად-აზნაურო სასწავლებლის დამფუძნებელთ: 1) მოემზადებინათ ბავშვები სახელმწიფო სასწავლებლისათვის და 2) მტკიცედ დაეცვათ ცხოველი კავშირი სამშობლო ქვეყანასთან და საზოგადოებასთან რიგიანის სწავლებით დედა ენისა და საზოგადოთ ქართულ ვითარებისა" *). ასე დასძენს და ამგვარად ესაუბრება ნ. ნიკოლაძე ქართველ საზოგადოებას 1893 წლის წერილებში, როდესაც გაილაშქრა მან სათავად-აზნაურო სასწავლებლის წინაალმდეგ.

დაარსებისას ამ სასწავლებელში მხოლოდ ორი მოსამზადებელი განყოფილება იყო გახსნილი. მერვე კლასი კი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 1899 წელს (—ე. ი. ოცის წლის შემდეგ) გაიხსნა. საჭიროა აღინიშნოს ამ სასწავლებლის კლასთა რაოდენობის ზრდა.

1883 წლამდე მხოლოდ ოთხს მოსამზადებელ განყოფილების გახსნას ახერხებენ. 1884 წლიდან ემატება კლასები და 1887 წელს მეხუთე კლასი იხსნება, მაგრამ შემდგომ ყოველწლივ თითო კლასი იხურება და 1890 და 1891 წლებში ორკლასიან სასწავლებლად ღა რჩება. 1892 და 1893 წლებში კვლავ ემატება მესამე და მეოთხე კლასი და 1896 წლამდე ოთხკლასიან პროგიმნაზიად არსებობს ჩვენი სასწავლებელი.

1895 წლის საზოგადო კრებაზედ საბოლაოდ სწყდება საკამათო საკითხი; უმეტესობის ხმით საზოგადო კრება ადგენს—მიეცეს თბილისის ქართულ სათავად-აზნაურო კერძო სასწავლებელს სრულ კლასიკურ გიმნაზიის სახე. ამ გადაწყვეტილობის შემდეგ, სასწავლებელს ემატება ყოველწლივ თითო კლასი და 1899 წელს იხსნება უკანასკნელი მერვე კლასიც.

კლასთა რაოდენობის ამ ზრდასა და დაკლებაშიაც ნათლად სჩანს, რომ—განსაკუთრებით 1895 წლამდე, ჩვენი სკოლის მესვეურთ ქართველ საზოგადოებასთან ერთად ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჰქონდათ გამორკვეული მტკიცე შეხედულება ამ ახლად დაარსებულ ქართულ სკოლის შესახებ.

მხოლოდ ცხოვრების გამოცდილებას შეეძლო გამოერკვია და დაენახვებინა საზოგადოებისათვის მისი არსებობის ღირებულობა. საჭირო იყო ერთგვარ ხანგრძლივი არსებობის შედეგი, რომ ამისდა მიხედვით ნათლად დაენახათ, თუ რამდენად ასრულებს თავის დანიშნულებას სასწავლებელი, რომელზედაც ყოველწლივ ათიათასობით იხარჯებოდა.

და მართლაც, რაც უფრო მეტი დრო გადის სასწავლებლის დაარსების დღიდგან, მით უფრო მწვავდება მის გარშემო ატეხილი კამათი. მთელი ქართველი საზოგადოება ორ ბანაკად იყოფა. ერთნი ჰქადაგებენ სათავად-აზნაურო სასწავლებლის სამეურნეო სკოლად გადაკეთების აზრსა. მეორენი კი კლასიკურ გიმნაზიის საჭიროებას აღიარებენ.

ამ ორ ბანაკთა შორის ატეხილი პოლემიკა 1893 წელს უმწერვალესობამდე აღწევს.

მეოთხმოცდაათიანებში ქართულ სამწერლო ასპარეზზე იბადება ახალი მიმართულება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ, ეგრედწოდებული, ჩვენი „მესამე დასელები". 1893 წელში პირველად გამოდის მათი ორგანო ყოველკვირეული ჟურნალი „კვალი", რომელმაც, ბ-ნ. ნ. ჟორდანიას სიტყვით თავის დევიზად „ოპოზიციონისტობა და აზრის თავისუფლება" გაიხადა. მთელ თავის ძალ-ღონით ამ ორგანომ გაზეთ „ივერიის" ჯგუფზედ მიიტანა იერიში, რომ გაექარწყლა და სრულიადაც მოესპო ქართულ პრესაში გაბატონებულ „ივერიელთა" მნიშვნელობა და პრესტიჟი.

(დასასრული იქნება)

**გ. მამრაძე.**

*) Новое обозрѣніе. 1893 г. Со стороны. Основные изъяны дворянскихъ щколъ, Н. Николадзе.

ყურადღება მიიპყრო მასწავლებელთა ჯამაგირმა. თუმცა მასწავლებლები დიდი ცოდნითა და ენერგიით ყოფილან აღჭურვილნი და საქმეს სრული თავისი ძალღონით ემსახურებიან, მაგრამ საზოგადოებას შეძლება არ აქვს შესაფერი სასყიდელი აძლიოს მათ. მასწავლებლის ჯამაგირი არ აღემატება ხუთ თუმანს, მაგრამ ისეთი მასწავლებელიც ყოფილა, რომელსაც მხოლოდ 15 მანეთი ეძლევა. ამის გამო კრებამ მცირეოდენ კამათის შემდეგ დაავალა გამგეობას, რომ 1 მანეთი მოუმატოს ტანთსაცმელეჰის შეკერვის ხელფასს და აქედან შემოსული ფული სავსებით მასწავლებლებს მოახმაროს.

შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ სწავლა-აღზრდისა და საერთოდ საზოგადოების სკოლის მდგომარეობისა. სკოლაში სწავლობს 300 მოწაფე, რომელთა შორის ნახევრამდე საქართველოს სხვა და სხვა სოფლიდან არის მოსული, ხოლო დანარჩენები თბილისის ღარიბ მოქალაქეთა და ხელოსან-მუშათა ქალები არიან. სოფლებიდან მოსულ ქალებს თავიანთი კარგი ყოფაქცევით და საქმისადმი ბეჯითობით დიდი გავლენა აქვთ თავიანთ ამხანაგებზე, საერთოდ ახალგაზდა მოსწავლე ქალები დიდ უნარს იჩენენ სწავლისადმი და ცხოვრებისათვის რიგიანად ემზადებიან. მოსწავლეებს ორი თანხა ჰქონიათ დაარსებული: დანიშნულება პირველი თანხისა, რომელშიაც ცოტად თუ ბევრად შეძლებულ მოწაფეებს თითო კაპეიკი შეაქვთ თვიურად, ის არის, რომ ზედ მეტად გაჭირვებულ ამხანაგებს დაეხმარონ ამ თანხიდან; მეორე თანხას ჰქვიან სამოგზაურო თანხა და მისი დანიშნულება ის არის, რომ უფროსი კლასის მოწაფეები სამოგზაუროდ წავიდნენ საქართველოს სხვ და სხვა კუთხეში. სკოლაში ორნაირი სწავლაა: პრაქტიკული ჭრაკერვისა და ზოგადი განათლების შესაძენი საქალაქო სკოლების სასწავლებელთა პროგრამით. ქართული წერა-კითხვისა ლიტერატურისა, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებას სკოლაში დიდი დრო აქვს დათმობილი. სკოლა დამთავრებულები დამოუკიდებელ მოქალაქობრივ ცხოვრებას ეწევიან. ბევრი მათგანი საკუთარ სახელოსნოებს ხსნის ჩვენი ქვეყნის დაბა-ქალაქებში. სკოლა დაარსებიდანვე მოთავსებულია ქ-ნ ეკ. გაბაშვილის სახლებში, მაგრამ სკოლა ყოველ წლობით იზდება და ეს შენობა მისთვის საკმარისი არ არის. გამგეობას გადაუწყვეტია სკოლისათვის საკუთარი შენობა შეიძინოს და ამის თავდარიგს უკვე შესდგომია. სკოლას გამოსჩენია ერთი დიდად გულშემატკივარი ადამიანი, რომელსაც სკოლის შენობისათვის ძირითად თანხად 1,000 მანეთი გადაუდვია. ამ ადამიანის ვინაობა გამგეობას არ დაუსახელებია თავისს მოხსენებაში, მაგრამ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, იგი ბძანდება ქ-ნი **ნინო ნიკოლოზის ასული გაბაშვილისა.** ამ ჟამად სკოლის შენობის შესაძენი თანხა 3,000 მანეთამდე იქნება.

გამგეობის წინადადების თანახმად კრებამ მცირეოდენი ცვლილება შეიტანა საზოგადოების წესდებაში: კრებამ დაადგინა, რომ დაწესდეს გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე, როცა ცვლილება წესდებაში შეწყნარებულ იქნება მთავრობისაგან, კრებამ ერთ ხმად აირჩია ქ-ნი ნ. ნ. გაბაშვილისა.

საზოგადოების საპატიო წევრებად კრებამ აირჩია ეპისკოპოსი კირიონი, ნ. ნ. გაბაშვილისა, ბ-ნი ფ. გოგელია და ბ-ნი თაღიევი.

სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქმნა ქ-ნი იაშვილი, ხოლო ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირში საზოგადოების წარმომადგენლებად—ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა, ნ. მაჭავარიანისა და ელ. ვეზირიშვილისა.

## ფრიდონოვის შაბიამანი

ამ ერთი თვის წინეთ ბ. ფრიდონოვმა არხანგელსკიდგან მიიღო ნაწილი შაბიამანისა, რომელიც სამეურნეო კომიტეტის შემწეობით უნდა განაწილებულიყო შემკვეთავთა შორის. ამის შესახებ სამეურნეო კომიტეტმა აცნობა ყველა კოოპერატივებს შეეტყობინებინათ მისთვის, თუ რომელ ამხანაგობას რამდენი შაბიამან-გოგირდი ესაჭიროებოდა. მკითხველმა კარგათ უწყის, თუ რამდენი შრომა დასჭირდა სამეურნეო კომიტეტს მიწათ-მომქმედ დეპარტამენტის წინაშე, რათა როგორმე მოეგვარებინა შაბიამნის გადმოტანის საქმე არხანგელსკიდგან.

ყველა კოოპერატივები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დროზედ მიიღებდნენ შაბიამანს. ოვეზედ მეტია რაც შაბიამანი მიღებულია. ბ. ფრიდონოვი ანაწილებს მას, როგორც მას ჰსურს, კოოპერატივები კი ელიან სამეურნეო კომიტეტისგან რაიმე ცნობის მიღებას და იმის დაკვალათ საქმის დაჭერას; ამ ლოდინში კი, დღითი დღე, ჰქრება ბ. ფრიდონოვის შაბიამანი მუშტრის ხელში. მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ერთ გარემოებაზედ, გაზეთში იყო გამოქვეყნებული: ვისაც ჰსურს შაბიამანის დაკვეთა, მათ უნდა მიმართონ სამეურნეო კომიტეტს; უიმათოთ, მის ნება დაურთველათ შაბიამანს ვერავინ მიიღებსო. ამ ცნობის მიხედვით ყველა კოოპერატივმა მას შეუკვეთა შაბიამან-გოგირდი.

ნუ თუ დღეს, როდესაც შაბიამანი განაწილდა უკვე და რომლის გარეშე დარჩა მთელი კოოპერატივები, ყურადღება არ უნდა მიაქციოს სამეურნეო კომიტეტმა ამ მოვლენას? ბ. ფრიდონოვი ურიგებს შაბიამანს ისეთ პირთ, რომელნიც ყალბი მოწმობებით სარგებლობენ (ერთი დღიური ვენახის მაგიერ 10—20 დ. აქვთ ნაჩვენები) ყველა ეს ვაჟბატონები მოვაჭრენი ბრძანდებიან. ამ ყალბი მოწმობების მიხედვით ღებულობენ შაბიამანს და ეს უკანასკნელი კი 15 მ. 90 კ. შეძენილ შაბიამანს 27 მან. ასაღებენ სხვებზედ, რომელნიც, რასაკვირველია, თავის მხრივ ზედმეტს დაურთვენ რომ თვითონაც მოიგონ რამ. ასე და ამგვარად ისევ ჩარჩის ხელში ვარდება გაჭირვებული გლეხი და ამ ცეცხლის კიდების დროს უარესათ უნდა გასძვრეს ტყავი. ასეთ შემთხვევებსაც აქვს ბ. ფრიდონოვის „კანტორაში" ადგილი: 1), 2000 ფუთის შემკვეთი, რომელსაც ფულიც გადახდილი აქვს ჯერ-კიდევ აგვისტოში ერთი მისხალი შაბიამანი არ შეხვდა ამ განაწილებაში. 2), არიან შემკვეთები 1000 ფ. და 1500 ფ. პირველი იღებს 15 ბ., მეორე კი 35 ბოჩკას. 3), ან და ასეთი შემთხვევა: შეკვეთილი აქვს 5 ბოჩკა შაბიამანი ბე სრულებით არ აქვს მიღებული ბ. ფრიდონოვს მისგან და მაინც მისთვის 5 ბოჩკა შენახული არის. რისთვის და რათ? ეს ბ. ფრიდონოვმა იცის. რათ იქცევა ბ. ფრიდონოვი ასე, ძნელი გამოსაცნობია. ერთი რამ კი ცხადია რომ მთელი კოოპერატივები ბ. ფრიდონოვმა უშაბიამანოდ დასტოვა, მაშინ როდესაც იგი კერძო მოვაჭრეთ უხეოთ შაბიამანს უნახავს და კოოპერატივებს კი რომელთაც ფულიც გადაიხადეს უარს ეუბნება.

ჩემი წერილის მიზანია სამეურნეო კომიტეტმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებებს; თუ რად ხდება ყველა ზემო ნათქვამი ასე? თუ სამეურნეო კომიტეტს ჰქონდა მინიჭებული უფლება შაბიამანის განაწილებისა, სად დაჰკარგა ეს უფლება მან? და თუ არ ჰქონია რატომ გაზეთის საშუალებით არ უარჰყო გამოქვეყნებული უფლებანი და რაკი ეს ასე მოხდა, რად დაგვითათბირა და გვაყურებინა თავის თავისთვის აქნობამდე? მაშინ ყველა ჩვენგანი სხვაფრივ დაიჭერდა საქმეს და აქნობამდე აღარ მივიდოდით. მე ღრმად დარწმუნებული ვარ ბ. ფრიდონოვი სულით და გულით მხარს უჭერს ჩარჩ მოვაჭრეებს (რასაც ამტკიცებს კიდეც საქმით) და ცდილობს ყოველ ნაბიჯზედ კოოპერატივების შევიწროებას. მაგრამ ამისთვის არსებობს უფლებით აღჭურვილი სასოფლო სამეურნეო კომიტეტი, რომლის მოვალეობასაც შეადგენს სოფლის მეურნის სასარგებლოდ იზრუნოს, იმან უნდა თავს იდვას კოოპერატივის შაბიამან-გოგირდის მიწვდენა, ვინაიდგან ამ კოოპერატივებში არიან თავმოყრილნი სოფლის მეურნენი. ვიმეორებ, ამ კომიტეტმა უნდა იზრუნოს მათთვის რადგან მათ მიმართეს თხოვნით შეეტყობინებინათ კომიტეტისთვის თუ ვის რამდენი შაბიამანი დასჭირდებოდათ ეხლაც ესევე კომიტეტი მოვალეა თავს იდვას და ხალხის სასარგებლოდ დააბოლოოს ეს საქმე.

ლეო.

## წერილი ჯარის კაცთან

ჩემთან შემოვიდა ერთი სოფლის ახალგაზდა დედაკაცი, თან პატარა ბიჭიც შემოჰყვა.

— ბატონო, ჩემი ქმრიდან წერილი მივიღე, ისე შენ გაიხარე, როგორც იმისმა წერილმა გამახარა. ახლა მწერს, ფული გამომიგზავნეო, აი ბატონო წერილი და ფული სამი მანეთიც გამიგზავნე და ერთ დედალს მოგართმევო.

— დედალი შენთვის შეინახე, მაგ წერილსა და ფულს გავუგზავნი, მხოლოდ გთხოვ თუ შენი ნებაც იქნება, წერილი წავიკითხო.

— რატომ, შენი ჭირიმე, მანდ არაფერი არა არის რა ისეთი, ქვეყნის საქმეებს აკეთებ და ჩემთვის რა ცუდს მოინდომებთ?

მისი თანხმობით წერილი გადავიკითხე და აღმოჩნდა შემდეგი, რომელიც დიდად დამახასიათებელია გლეხი კაცის ქალისა: „1916 წელსა პირველსა გწერ წერილსა, შორიდან გაძლევ სალამსა ჩემო გულიდამ განუშორებელო, ჩემო მეუღლევ ნიკავ, შენ გენაცვალოს და დაგენაყოს შენი ფეფო, ჩემო ძვირად სანახაო ნიკა, ოთხი წელიწადია არ მინახვიხარ, მაღალ ღმერთსა ვთხოვ, რომ მენახოს მშვიდობით და კარგათა შენი თავი. შევთხოვ ღმერთსა და სასწაულებსა გადაგარჩინოს და გვაღირსოს იმათა მათმა მადლმა ნახვა შენი, ჩემო განუშორებელო და ძვირო სანახავო. შენ გენაცვალე ნიკაჯან, რომელი თითი გაკლია მამწერე, გავიგო, ჯავრი მაქვს შენი. გაუფრთხილდი შენს თავს. რა ვქნათ, რახან გადარჩი, მაგას ნულარ იდარდებ, პირში სული გიდგეს და, მადლობ ღმერთსა, ცოცხალი მოგიყვანოს და ერთი კიდევ დაგინახო.

— შენი წერილი რომ მამივიდა, ასე მეგონა, ეხლა გავცოცხლდი, ისე გამახარა.

ახლა ჩემო საყვარელო მეუღლევ გიგზავნი ცოტა ფულსა, სამ მანეთს მეტს ვერა ვგზავნი, ამოდენა გადასახადებს ძლივს ეს სამი მანეთი გადავარჩინე, ცოტაზე ჩუ მიწყენ, ჩქარა ველი შენგან წერილსა.

ახლა მოგიკითხა შენმა რძალმა მელანომ, შენი ძმაც ხომ წაიყვანეს—შაქროი, ეხლა ჩვენ პატრონი არავინა გვყავს, დავრჩით პატარა გიგოს ამარა.

შენი ბიჭუკელა თედია დაგოგავს მწყერივითა, ენა ამოიდგა და იძახის: „მამა, მამა!" ატოცის წმინდა გიორგის ვავედრებ, რომ მაღირსოს შენი ნახვა და შენი პატარა თედიაც ჩაგეხუტებინოს.

ახლა მოგიკითხეს ჩვენებიანთ გიომა და მისმა ოჯახობამ. ახლა მოგიკითხეს ყველა ჩვენებმა მეზობლებმა. ჰო, აკი დამავიწყდა მამეწერა, წაიყვანეს კიდევ ჩვენი მეზობლები წითელ-ბილეთიანები: გორა, ილა, მიხა და ნესტორა. ყველას თავისიანები აუტირდნენ, ერთი საცოდაობა დატრიალდა, ისინი რომ მიდიოდნენ.

მელანომაც ბევრი იტირა და მეც მატირა, მომაგონდი, ამდენი ხნის უნახავი რომა ხარ.

გწერს შენი მეუღლე ფეფო".

ამასგანმარტება აღარ სჭირია, თავისთავათ ღაღადებს ეს წერილი გლეხის ქალის სულიერ განწყობილებას თავის ქმრისადმი.

Legatus.

## ქართული სკოლის ისტორიისათვის

ასპინძის ომის შემდეგ (1770 წ. 20 აპრილს) საქართველოს და რუსეთს შორის მიმოსვლა გაჩაღდა. ორი სამი წელიწადი არც კი გასულა, რომ რუსეთის წარმომადგენელი კაპიტანი ლვოვი მეფის ოჯახს დაუნათლიავდა, რომ სამეფოს შინაურ-გარეულ საქმეებში თამამათ რეოდა და გზა-კვალი ებნივა ალალმართალ ერეკლესათვის, ამ დროიდგან რუსული ენის სწავლას ფასი დაედო და ყველა ცდილობდა მალე შეესწავლა რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი.

გაჩნდნენ მაშინდელ ქართულ სკოლებში რუსული პირველ სასწავლო წიგნები (სლავიანურის ანბანით, რასაკვირველია), „რაზლოვორები" და სხ. ერთი ამისთანა პირველ სასწავლო წიგნი, სლავიანური ანბანით დაბეჭდილი ამ ხანათ ჩემ ხელთ არის. იგი დაბეჭდილია მოსკოვში 1790 წ. აგვისტოში. ანბანის შემდეგ მარცვლებია ხმოვანის ასოების რიგზედ, ასე:

ბა, ვა, გა, და, ჟა, ზა...
ბე, ვე, გე, დე, ჟე, ზე...
ბი, ვი, გი, დი, ჟი, ზი...
ბო, ვო, გო, დო, ჟო, ზო...
ბუ, ვუ, გუ, დუ, ჟუ, ზუ...

მერე მისდევს:

ბია, ვია, გია, დია, ჟია, ზია...
ბრა, ვრა, გრა, დრა, ჟრა, ზრა
და სხვა.

ანბანში ასოებს ქართულათ აწერია სახელები მალე დასასწავლათ:

აზ, ბუკი, ვედი, ღლაღოლ, დობრო, იესტ, ჟივეტე, ზელო-ზემლია, იჟე, კაკო... და სხვ.

ყდა აქვს მოყვითალო ტყავ გადაკრული, სიგრძე სიგანით in quarto; პირველი ყდის შიგნით პირზედ ქართულათ აწერია ფრიად საინტერესო ერთი არითმეტიკული ამოცანა (ზადაჩა) ასე: „**ქ. მეფემან ბრძანა 3000-თა მონათა თვისთა ზ-ა 10000-სისა ლიტრისა პურისა გაცემა. ამას შინა მიცემა ორისა წილისა პურისა და მესამედისა ქერისა. ინება I მნებავს უწყებად თითოეულს რაზომი ლიტრა, სტილი, მისხალი და დანგი პური მიეცემა და ანუ ქერი**". აქვეა ანგარიში გაკეთებული:

კაცი. ხალვარი. ლიტრა.
3000. 300. :
სტილი. მისხალი და დანგი
| | |
1 კაცს—პური 6.—13.—II.—4.
— ქერი 3.—6+—5+—2.

ჯვარი (+) უდრის ნახევარს ($^{1}/_{2}$). ლიტრიანი (პურის საწყაო უწინ=9 გირვანქას, გირვანქა=96 მისხალს; მისხალი=6 დანგს, სტილი=33 მისხალსა.

ამ არითმეტიკულ ამოცანას ანგარიში და შემოწმება მიმინდვია ჩვენი მათემატიკოსებისათვის.

ბოლო ყდაზე აწერია: „ქ. ოკდომბერსა, წელსა ჩყ მუხრან ბატონი იოანე მიიცვალა".

1800 წლის შემოდგომაზე გიორგი მეფე ავად იყო და 1 ოკტომბერს მცხეთაში ავიდა სვეტიცხოვლობას სალოცავად. ამ დროს ღართის კარში—ვიწროებში ქართლიდგან მოდიოდა მრავალი მლოცავი დაჩარდახულ-მოფარდაგულ ურმებით. იმ ღამით ლეკის დიდი თარეში ჩასაფრებულიყო ღართის-კარში და ის იმოდენა ხალხი ერთიანად დაძარცვეს და დაატყვევეს. მაშინ მცხეთაში მყოფი მეფის სიძე [1]), სახლთუხუცესი იოანე მუხრან-ბატონმა ხელდახელ შეჰყარა მდევარი, გამოუდგა ლეკის თარეშსა და ღართის-კარის დაბლა არაგვის პირზე ტუტა აადინა ლეკებს და ერთიანად დააყრევინა ნადავლ-ნაძარცვი. მერე ფეხდაფეხ გაუხდა არაგვის გაღმა გაქცეულ ლეკებს და მათ დევნაში წამოექცა ცხენი და მკვდარი ჩამოასვენეს მცხეთაში [2]).

შემდეგ აწერია: „მე იოსებ მესხიმ (მივყიდე) ლავრენტი ჩუბინოვს ეს წიგნი სამ აბაზად". იოსებ მესხი იყო ძმა დავით კანდელაკისა ანჩისხატის ეზოში.

ლავრენტი ჩუბინოვი იყო ძე კარის მღვდლის დავითისა და დიაკონი სიონისა თბილისში 1821 წ. 27 თებერვლიდგან. ჰქონდა 60 მან. ჯამაგირი წელიწადში. 1824 წ. აგვისტოში სიონში მღვდლის ადგილი დაიცალა. ითხოვა ლავრენტიმ. ითხოვა თეოფილაქტეს მოყვანილმა მგალობელმა ივანე ბელიაევმა, დიაკონმა 1823 წ. 11 ნოემბრიდან, 180 მან. ჯამაგირი ჰქონდა წელიწადში. ეგზარხოსმა იონამ მიჰკერძა მღვდლის ადგილი რუსს ბელიაევს, ხოლო ლავრენტის უთხრა უარი და დასაშოშმინებლად 100 მან. ჯამაგირი მოუმატა წელიწადში. ლავრენტი ეღირსა სიონის დეკანოზობასა, მიიცვალა 1850 წ. 23 მარტს, შობიდგან 54 წლისა. ასაფლავია მთაწმინდაში [3]).

შემდეგ აწერია: ჩყიპ მკათათვის იპ. ვთხოვე ჩემი ჯამაგირი (იმპერატორს) და მარიამობის გასულს მოგცემო". ვინ არის ამის დამწერი, არ ვიცით. „წელსა 1800 თუჲსა სეკდემბერსა 23 მუშკატერის პოლკი შემოვიდა თბილისს". ეს იყო ყაბარდოს მუშკეტერის პოლკი გენერალ მაიორის გულიაკოვის სარდლობით; ამ პოლკმა იბრძოლა ნიახურის ომში იორზედ 1800 წ. ნოემბრის 7 ქართლ-კახეთის ჯართან და საშინლათ დაამარცხეს ავარელი ომარ ხანი ჩვიდმეტი ათასი ლეკის ჯარით ამ ბრძოლის დროს ბარკალში დაკოდილი ომარ ხანი სისხლის დენისაგან მალე მოკვდა.[4])

შემდეგ აწერია: „წელსა 1800 თუჲსა სეკდემბერსა 24 სარდალს ციციანოვს გოგიას დაუმარცხდა ფანბაკს, რომლისა მიერ იყო ვნება ფრიად ბოროტი და ესე იყო სპასპეტობისა რჩევისა უვიცობითა".

1799 წ. ღვინობისთვეში ერევნის ხანმა მიითვისა მდიდარი შრაგელის ოლქი[5]) და გიორგი მეფის მოხელეები გამორეკა. აქ ათასამდე კომლი თათარი სცხოვრებდა და დიდის ხნითგან ქართველ მეფეს აძლევდნენ გადასახადსა ყოველწლივ. მეფე გიორგიმ გაისტუმრა თავის სიმამრი სარდალი გიორგი ციციშვილი (ხათა გოგია) და გაატანა 400 კაცი ლეკის დაქირავებული ჯარი. მოხდა ბრძოლა ფანბაკზედ და ერევნელებმა სასტიკათ დაამარცხეს გოგია, 200 ლეკი დახოცეს დაჭრილებს გარდა. ამ დამარცხებით გოგიას თავიც მოსწონდა: „საქართველოს 200 მოსისხლე ლეკი მოვაშორეო".

შემდეგ აწერია: „დიმიტრი დაიბადა წელსა ჩყიდ, მარტის იე". ვინ არის დიმიტრი, სწორეთ არ ვიცით. იქნება წამებული გმირი დიმიტრი ყიფიანია? თუმცა მისი დაბადა 1815 წ. არის ნაჩვენები.

მღ. პ კარბელაშვილი.

1) ამისი მეუღლე იყო ქეთევან ერეკლეს ასული, მოლექსე. მეტეხში იყო დატუსაღებული რუსთაგან 1833 წ. იხ. მისი მშვენიერი ლექსი დ. ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში „ჰოი ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი". იქვე პასუხი თეკლე ბატონიშვილისა, გვ. 111—113.

2) იხ. საქ. ისტ. დავით ბატონიშვილისა 1905 წ. გვ. 56.

3) იხ. საქმ. ექსარხ. კანც. 1824 წ. № 75.

4) იხ. ქართ. ცხ. დავით ბატონიშვილისა, გვ. 57 და Буткова II, 459 გვ.

5) იხ. Буткова II, 448 გვ.

## ქართული გალობა

დიდებული კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი გვირჩევდა ქართველებს, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ჩვენი ეროვნული მუსიკა ყველა განათლებულ ქვეყნებისთვის გაგვეცნო, თუ ჩვენ ვერ შევსძლებდით, მათის დახმარებით მაინც განვითარებულიყო და სასურველ ნიადაგზედ დამდგარიყო ჩვენი მუსიკა.

ჩვენ კი განვითარების მაგიერათ, სრულს დავიწყებას მივეცით; ქართულ ბუნებრივი გალობის მოსმენა სანატრელი გახდა და თუ დროზედ ამ საკითხს ყურადღება არ მივაქციეთ, ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ მისი ნასახიც აღარ დაგვრჩება.

ქ. თბილისი მთელ კავკასიის განვითარების ღერძია და მაშასადამე უმეტესი ჩვენი ყურადღებაც ამას უნდა მიექცეს. ქართულ გალობას თბილისის სასწავლებლებში სულ მცირე ადგილი უჭირავს და თუ ასწავლიან მათში რასმეს იმასაც ისე, სხვათა შორის. კმარა ასე აბუჩად აგდება. საჭიროა მოვითხოვოთ რაც შეიძლება მეტი ადგილი დაუთმონ ქართულ გალობასაც.

მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ქართულ საგალობლებს სასწავლებლებთან არსებულ ეკლესიებშიაც. ყოველ სასწავლებელში საჭიროა დაარსდეს სამხმოვან გალობის მრავალრიცხოვანი გუნდი, შემდეგში დაჰყონ რამდენიმე დასად და დაგზავნონ სხვა და სხვა ეკლესიებში კვირა-უქმეობით საგალობლად, უფრო მცოდნე შეგირდების მეთაურობით. ამის განხორციელება არც ისე დიდს სიძნელეს წარმოადგენს, საკმარისია მეტი მხნეობა გალობის მასწავლებელთა მხრივ და ნებართვის აღება ვისგანაც ჯერ არს შეგირდების განთავისუფლებისა სხვა ეკლესიებში საგალობლად და სულ ახლო მომავალში შეძლება გვექნება ყველა ქართველთა ეკლესიებში მოვისმინოთ დროებით ჩვენ მიერ მივიწყებული ჩვენი ტკბილი გალობა.

ისეთი სასოებიანი გალობა, როგორც არის ქართული, ძნელად მოიპოვება სხვა ერთა შორის და თუ ზოგიერთი მას რაიმე წუნსა სდებს ეს მხოლოდ მით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენ არ ვიცით ნამდვილი ქართული გალობა, იგი ჩვენ კარგა ხანია არ გვსმენია. კერძოდ თბილისში მრავლად მოიპოვებიან ქართველ მგალობელთა გუნდი, მაგრამ ყველა თავისებურად ასწავლის გალობას და ნამდვილ ქართულს კი არც ერთი.

ზოგი გალობის გასავრცელებლად დამაბრკოლებელ მიზეზად ასაბუთებს ნოტების უქონლობას; ეს ნახევრად შემცდარი აზრია. თითქმის არ არის ისეთი საგალობელი, რომ არ ყოფილიყოს ნოტებზე გადაღებული, ხელთნაწერი მაინც; იგი მრავლად მოიპოვებიან თვით თბილისშიაც; საჭიროა მხოლოდ მათი შეგროვება, გაშალაშინება და დაბეჭვდა.

აუცილებლივ საჭიროა ეხლავ დაარსდეს ქ. თბილისში მრავალრიცხოვანი სამხმოვანი მგალობელთა გუნდი, როგორიც, მაგალითად, იყო ყოვლად სამღვდელო ეპ. ლეონიდის აქ მსახურების დროს და რომელსაც განაგებდა ბ. ალექსანდრე კავსაძე.

ბევრმა მოჰკიდა ხელი ქართულ საგალობლების ნოტებზედ ბეჭვდას; იბეჭდება [illegible] იმ პირის ცოდნის თუ გემოვნების მიხედვით და შეძლება არა გვაქვს დაბეჭვდამდე მათის ღირსეულად დაფასებისა. ზემოხსენებულ გუნდს ადვილად შეეძლება ყველა ამას ავვაცდინოს. ის პირი, რომელიც მოისურვებს საგალობლების დაბეჭდვას, ვალდებული იქმნება მოაწოდოს ამ გუნდს ესა თუ ის საგალობელი, რომელსაც გუნდი, შეასრულებს ეკლესიაში ან სხვა დანიშნულ ადგილას სადმე თვით გამომცემლის დახმარებით ანუ ხელმძღვანელობით გალობის მცოდნე პირების დასწრებით. აქ გამოაშკარავდება ამ საგალობლის ესა თუ ის მხარე და თუ მისი დაბეჭვდა სასურველად იქმნება ცნობილი, მხოლოდ მაშინ მიეცემა ნება მის ნოტებზედ დაბეჭვდისა.*)

მოლოდინი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს და იმედი გვაქვს საკითხის გასარკვევად სხვანიც გაგვიზიარებენ თავისს აზრს. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

შაბათს 5 მარტს
ახალ კლუბში ღამით
დაჰკარგე
საფულე 65 მ. და 83 მან. კვიტანციებით. მნახველს უმორჩილესად ვსთხოვ დამიბრუნოს. ჯილდოთ მიიღებს 25 მ.
**მისამართი:** ყიფიანის ქუჩა № 11 გრიგოლ ამაღლობელი.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 | საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ | 16 „ | „ |

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეწველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა.კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.